საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალბოროვი ფელიქს შალვას ძე

ალბოროვი ფელიქს შალვას ძე (დ. 8. IX. 1935, ცხინვალი), ოსი კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1982). 1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასი). 1961 – 62 ცხინვალის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სიმდის“ სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 1962-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას. 1962 – 68 იყო ცხინვალის სამუსიკო სკოლის, ხოლო 1975 – 78–მის მიერ ჩამოყალიბებული სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი. 1978-იდან ცხინვალის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელია. ა. მუშაობს მუს. ხელოვნ. სხვადასხვა ჟანრში. ნაწარმოებები: კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის (1963), სიუიტა სიმფ. ორკესტრისათვის (4 ნაწილად, 1971), საფორტეპიანო ვარიაციები (1965), „ექსპრომტი“ ფორტეპიანოსათვის (1970), მუსიკა კინოსა და თეატრისათვის.